ბრძანება:**ბ47. 4723081001**
თარიღი:**22/03/2023**

ბრძანება N 26

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 28 მარტს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1 ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტის საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი კუჭავა

1.2. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში 2023 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: გია გიორგაძე

1.4. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 30 მარტის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ირაკლი ახობაძე

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი დასახლებების ქუჩების არაბული ციფრებით სახელდების თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ჯვარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის გოჩა უნგიაძის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 ივლისის N48 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ბუკისციხის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ იანეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ისააკ კეკელიძის სახელის მინიჭების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 ნოემბრის N49 განკარგულებაში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ჩოხატაური-ბახმაროს შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზის მე-4 კმ-დან (პკ. 4+200) მე-6 კმ-ის ჩათვლით (პკ.6+100) არსებული ჩიხებით ანა კალანდაძის სახელის მინიჭების თაობაზე ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N78 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის ზაზა ცინცაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.10. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 26 ოქტომბრის N79 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში გუთურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო ქუჩისთვის მამუკა კალანდაძის სახელის მინიჭების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.11. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის II კვარტლის სამუშაო გეგმის ცნობად მიღების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი